საქართველო კვლავ პირველ ადგილზეა უკრაინისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებით

უკრაინის ფოსტის "**Ukrposhta**"- ის ინფორმაციით, 20 აპრილის მონაცემების თანახმად, ფოსტის მეშვეობით მიღებული ძირითადი ჰუმანიტარული ტვირთის (საკვები პროდუქტი, პირველადი სამედიცინო დანიშნულების პრეპარატი, ტანსაცმელი) რაოდენობის მიხედვით, „საქართველოს ფოსტა" 520 ტონაზე მეტი ტვირთით კვლავ პირველ ადგილზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** გადაწყვეტილებით, უკრაინაში პირველი ჰუმანიტარული ტვირთი თებერვალში გაიგზავნა. ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ყველა რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა და უკრაინაში გაიგზავნა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10422) 2 მაისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერის ანგარიში მოისმინა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე უძღვებოდა. სხდომას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის მოადგილეები და სამსახურების უფროსები დაესწრნენ.

საკრებულოს სხდომაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა წარადინა.

ლანჩუთის მერის, ალექსანდრე სარიშვილის განმარტებით: *„მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური პარამეტრებით: შემოსულობები მიღებულია 23103-250 ლარი, პროგნოზით გათვალისწინ-ებულზე 854-948 ლარით მეტი, გეგმა შესრულდა 103,8%-ით, მათ შორის: გადასახადები შესრულებულია 106,2%-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებული 9211100 ლარისა, შემოსულია 977-8504 ლარი. სხვა შემოსავლები შესრულებულია 110,9 %-ით, პროგნოზით გათვალისწინებულ 3035-740 ლარისა, შემოსულია 336-5295 ლარი."*

დეპუტატებმა გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დადებითად შეაფასეს.

ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე მხარეებს შორის დაპირისპირება პიკს აღწევს

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მხარეებს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. ეს დაპირისპირება „ქართული ოცნების" და „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებს შორის წინა მოწვევის საკრებულოს სხდომებზეც ხდებოდა, მაგრამ ახალი მოწვევის საკრებულოში ამან სისტემატური ხასიათი მიიღო. ამას ერთ-ერთი ფაქტორი ბოლო არჩევნებში ოზურგეთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან 11 მანდატის მოპოვებაა. საკრებულოში შესული მათი დეპუტატების უმრავლესობა ყოველთვის აქტიურობით გამოირჩევიან და ნებისმიერი ხერხით ცდილობენ საკრებულოზე მათთვის მისაღები სიტუაციის შემნას.

მეორეს მხრივ ფრაქცია „ქართული ოცნება"დუმილით არ პასუხობს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ბრალდებებს და ხშირად დებატები სიტყვიერ დაპირისპირებაში გადადის.

საკრებულოს სხდომის დაწყებისთანავე **დავით დარჩიას** წინადადებით დეპუტატებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული უკრაინელი და ქართველი მებრძოლების ხსოვნას.

სხდომაზე თავდაპირველი ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც **თათია ნიკოლაიშვილი**ტრიბუნასთან მივიდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან 35 საჯარო მოხელის დათხოვნა გააპროტესტა და მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესს კი ადამიანების პოლტიკური ნიშნით დევნა უწოდა.

საპასუხოდ ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი **ქეთევან ხომერიკი** ტრიბუნასთან წინა ხელისუფლების დროს მოკლული სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და 2008 წლის აგვისტოს ომის ამასხველი ფოტოებით მივიდა და ოპონენტს „ნაციონალური ხელისუფლების" დროს მომხდარი უდანაშაულო ხალხის მკვლელობები და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები შეახსენა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირება ნამდვილად არ იყო კორექტური, და თათია ნიკოლაიშვილის მიმართ „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დეპუტატის მიერ წამოსროლილი სიტყვების შემდეგ ორ პარტიას შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა.

დაპირისპირება შესვენების შემდეგაც გაგრძელდა და „ქართული ოცნების" დეპუტატ **გოჩა კილაძეს**, რომელიც რამდენჯერმე გახდა ოპონენტების მხრიდან თავდასმის ობიექტი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** ე.წ.დასადგამი ბირკა ესროლა. კვლავ გაგრძელდა გაწევ-გამოწევა, ურთიერთბრალდებები.

—ვერ ხედავთ მუნიციპალიტეტში პოლიტიკური ნიშნით წმენდა მიდის —ყვიროდა მჟავანაძე...

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სოფელ ხაჯალიაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაჯალიაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოები გური-აში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან **ალექსანდრე სარიშვილთან** ერთად მოინახულა.

აღსანიშნავია, რომ შენობის არარსებობის გამო, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება კერძო სახლშია განთავსებული. პროექტის დასრულების შემდეგ კი სოფელს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღი ექნება.

პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი აზიის განვითარე-ბის ბანკის დაფინანსებით ახორციელებს.

პროექტის ღირებულება 4 მილიონ 300 00 ლარია და მომავალი წლის მარტში დასრულდება.

უბედური შემთხვევა მდინარე ჩოლოქზე

24 აპრილს, აღდგომას, უბედური შემთხვევა მოხდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე, მდინარე ჩოლოქზე.

ქ. ოზურგეთში მცხოვრები, 27 წლის დ. ც. მეგობართან ერთად მდინარე ჩოლოქზე თევზაობდა. შემთხვევით აქნეული ანკესის ძუა მდინარესთან გამავალი მაღალი ძაბვის ხაზს შეეხო და დ.ც. დენი დაარტყა.

იქვე მყოფმა მეთევზეებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. როგორც ამბობენ, ქობულეთიდან სასწრაფო დახმარების ბრიგადა დროულად მივიდა, მაგრამ ახალგაზრდა მეთევზე გარდაცვლილი დახვდათ.

– სამწუხაროდ, ჩოლოქზე, მაგ მიდამოებში სხვადასხვა მიზეზით ადამიანის დაღუპვის ეს პირველი შემთხვევა არ არის –გვითხრა გამოცდილმა მეთევზემ, ოზურგეთელმა ს.ტ-მ.

–სამწუხარო ფაქტი მოხდა. ახალგაზრდა კაცი დაიღუპა. ჩვენმა სპეციალისტებმა გაზომეს მაღალი ძაბვის ელექტროხაზების მიწიდან დაშორების სიმაღლე და იგი ნორმის ფარგლებშია. მდინარე ჩოლოქთან მაღალი ძაბვის ელექტრობოძების 80-90 პროცენტს აქვს შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერა. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება და მათ დასკვნას უნდა დაველოდოთ –გვითხრა ბექა რომანაძემ.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მომხდარის გამო თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ოზურგეთის მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საკონსულტაციო შეხვედრები მთისპირში, ასკანასა და ნასაკირალში გამართეს. მოისმინეს სოფლებში არსებული საჭიროებები და მოქალაქეებს, პროგრამის ფარ-გლებში დასაფინანსებელი პროექტები გააცნეს.

სოფელ ასკანაში მოსახლეობის გადაწყვეტილებით, საბავშვო ბაღს რეაბილიტაცია ჩაუტარდება და გარე განათების ქსელი მოეწყობა;

დაბა ნასაკირალში მოწესრიგდება სპორტული მოედანი და სკვერი;

სოფელ მთისპირში მოეწყობა სპორტული მოედანი, მოსაცდელები, გარე განათება; ასევე, შემოიღობება სასაფლაო და საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიგება ბეტონის გზა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დავასრულეთ. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთე-ულში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები მოსახ-ლეობამ თავად შეარჩია, რომელსაც ჩვენ დავაფინანსებთ. პროგრამა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მუნიციპალიტეტში, როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ასევე, ჩვენი თანამოქალაქეების ჩართულ-ობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადგილობრივებთან შეხვე-დრებს ჩვენ მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ,“- აღნიშნა, ოზურგეთის მერის მოადგილემ, ნიკა ბოლქვაძემ.

ოზურგეთი აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებას უმასპინძლებს, რომელიც უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად ჩატარდება.

ამერიკული სამხედრო ჯაზბენდი „Rhine River Ramblers" კონცერტს დღეს, 2 მაისს - 12:00 საათზე, ფოლკლორის ცენტრში გამართავს. დასწრება თავისუფალია!

სამოქალაქო მოძრაობა „თავისუფლებისთვის“ განცხადებას ავრცელებს

„დღეს, ჩვენს ერთ-ერთ აქტივისტს, რომელიც ქალაქის ტერიტორიაზე იდგა, შუახნის მამაკაცმა სიტყვიერი შეურ-აცხყოფა მიაყენა. როგორც აქტივისტი ამბობს, ის იდგა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე და საუბრობდა ტელეფონზე, რა დროსაც მას, შეურაცხმყოფელი სიტყვები მიაძახეს. უცნობი მამაკაცის გაღიზიანება კი, ჩვენი სამოქალაქო მოძრაობის აქტიურობას უკავშირდებოდა. მან, ასევე თქვა, რომ უნდა შევწყვიტოთ აქტივობა, რაც ირიბი მინიშნება იყო იმის, რომ შევეშვათ "კონსერვატიული მოძრაობის" წინააღმდეგ ბრძოლას.

სამოქალაქო მოძრაობა თავისუფლებისთვის, გმობს მომხდარ ფაქტს და მოუწოდებს თანამოაზრეებს არ წამოეგონ მსგავს პროვოკაციულ ქმედებებს, რომელიც რუსული პროპაგანდისტული დაჯგუფების და მათი მიმდევრების ჩვეული ხელწერაა

თავისუფლებისთვის “- წერია განცხადებაში.

გიორგი ცხომელიძის კონცერტი ოზურგეთში



ახალგაზრდა პიანისტის - **გიორგი ცხომელიძის** სოლო კონცერტი გაიმართა თავის მშობლიურ ქალაქში!.. მისი შესრულება გამოირჩევა უნიკალური მგრძნობელობით, შთამბეჭდავი გამომხატველობითა და უმა-ღლესი ხარისხით!.. მთელი გულით ვუსურვებ წარმატებებს მას პროფესიულ საქმიანობაში! – წერს გუბერნატორის საზოგადოებასთან ურთიერთობი სამსახურის უფროსი **სოფო კაშია.**

ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე მხარეებს შორის დაპირისპირება პიკს აღწევს

შესახებ“ –წარმოადგინა.

დარბაზში მერიის ის საჯარო მოხელეები იყვნენ, რომლებიც რეორგანიზაციის შედეგად სამსახურს დატოვებენ.

–მე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ ოზურგეთში. ალბათ კარგად გახსოვთ ბატონო გიორგი, 2012 წელს როგორი ორგანიზებული შეხვედრა გავმართეთ სოფელ კონჭკათში. მესამედ მიშვებს მუნიციპალიტეტის სამსახურიდან. სახლში მყავს 82 წლის დედა, ინსულტგადატანილი მეულლე. ჩემს 720 ლარზე იყო დამოკიდებული ჩემი ოჯახის არსებობა. იქნებ არ დაუჭიროთ მხარი დეპუტატებმა ამ პროექტს –მიმართა **ნარი მუჯირმა** დარბაზში მყოფ დეპუტატებს.

სიტყვით მერიის იურისტი კუკა ბარამიძეც გამოვიდა. იგი კორექტურად უხსნიდა საკრებულოს თავმჯდომარეს, დარბაზს იურიდიულად რამდენად არ იყო გამართლებული, მისი სამსახურიდან გაშვება და ბოდიში მოუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს რეგლამენტით გათვალისწინებული დროის გადაცილების გამო.

–მითხარით რა მიტივით მათავისუფლებთ, სათანადო განათლება არ მაქვს, კვალიფიკაცია თუ სამუშაო გამოცდილება. რა მოტივით უშვებთ სამსახურიდან კაკო ღლონტს, სოფლის მეურნეობის ბრწყინვალე სპეციალიტს, კუკური ბარამიძეს, თეა კვირკველიას, სხვებს – მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს მერიის თანამშრომელმა **ირინა ინარიძემ.**

ირინა ინარიძის გამოსვლას დეპუტატ **მარინა ვაშალომიძის** მწვავე რეაქცია მოჰყვა, რომელმაც შეახსენა გამოსვლელს წინა ხელისუფლების დროს, როცა ინარიძე განათლების რესურსცენტრს ხელმძღვანელობდა, ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში, სადაც ვაშალომიძე დირექტორად მუშაობდა, ჩატარებული არჩევნების ა და შემდეგ ლაითურის საჯარო სკოლიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ რეორგანიზაციის საკითხს თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატმა **ნათია ლაჟონიამ.**

აღნიშნულზე დასკვნა წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლავრენტი ბიგვავამ,** ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარი ჩხიკვიშვილმა** აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია არაა მორგებული ცალკეულ პერსონებზე.

–დიდი ხანია პოლიტიკურ ჭაობში ხართ, პოლიტიკურად ხართ გაკოტრებული – მიმართა ნაცმოძრაობის დეპუტატებს ჩხიკვიშვილმა.

საკრებულომ დაამტკიცა მერიის, მერიის სამსახურების დებულებებსა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების

შესახებ ნორმატიული აქტები.

კენჭისყრისას „ქართული ოცნების“ ყველა დეპუტატმა დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტს. წინააღმდეგი 11 დეპუტატი იყო.

თათია ნიკოლაიშვილმა კიდევ ერთხელ ითხოვა სიტყვა და მერიიდან არაოფიციალურად მოპოვებული ინსპექტირებისა და ანალიტიკის განყოფილების მოხსენების ფურცელი ააფრიალა.

– როდემდე უნდა გითმინოთ თათია. შენ ოზურგეთში ნაცმოძრაობის თავმჯდომარეობის პოსტს უმიზნებ, ამიტომ აკეთებ ამას – მიმართეს ნიკოლაიშვილს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა.

საკრებულომ მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ დადგენილების პროექტი. კენჭი უყარა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებას.

საკრებულომ, ასევე, მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების მიღებას.

„ვიღაც მილიონებს შოულობს, „სატისი“ კი მუშაობს“

დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომას კომისიის თავმჯდომარე **ბექა თოიძე** უძღვებოდა.

პირველ საკითხად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის არსებული მდგომარეობა განიხილეს. ინფორმაციით შპს „სატისის“ წარმომადგენელი **ვალერი კირკიტაძე** გამოვიდა.

– ჩვენ რამდენიმე დაბასა და სოფელს ვემსახურებით, ზოგს არასრულად. ესენია დაბა ლაითური და ნასაკირალი, სოფლები მთისპირი-ასკანამზიანი, ჯუმათი, ნატანები, თხინვალი. სულ 9430 ადამიანს ვემსახურებით. უმეტესად ჭაბურღილების მოწყობილი, თუმცა მათგან რამდენიმე მუშაობს გამართულად. ჭაბურღილების მოწყობა საშუალოდ 35 ათასი ლარი ჯდება და ლაითურში, როცა სისტემა ჩავიბარეთ, 4 ჭაბურღილიდან ერთი მუშაობდა გამართულად. ჩვენ ერთი ჭაბურღილი აღვადგინეთ და ამჟამად ისიც სრული დატვირთვით მუშაობს. ზოგადად ეს ტექნიკური წყალია, რომელსაც მოსახლეობა სასმელად იყენებს –განაცხადა მან.

–ჯუმათის წყალმომარაგებაზე არასახარბიელო მდგომარეობაა. ვიღაც მილიონებს შოულობს, ეს ხალხი კი მუშაობს.ქვიშა-ღორღის მომპოვებლებმა ისე გამოუთხარეს ძირი ნასაკირალის სასმელი წყლის ჭაბურღილს, წყლის დეფიციტი შეიქმნა –აღნიშნა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ.**

–მიუხედავად იმისა, რომ თხინვალის წყალმომარაგება არასათანადოდაა, საჯარო სკოლის რეაბილიტაციისას აქ ჭაბურღილი საშვილიშვილოდ გაკეთდა და სკოლას გამართული წყალმომარაგება ექნება – თქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მერიათხინვალი-კონჭკათის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ტარიელ არაშიძემ.**

–8 მილიონი ლარი დაიხარჯა დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის მშენებლობაზე და მშენებელმა აქ სამუშაოები უხარისხოდ შეასრულა. სახურავის ჩათვლით ყველგან პრობლემაა. მშენებელის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განიხილოთ, –თქვა **ბესო ქათამაძემ.**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ისინი მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად როგორც წყლით მომარაგების, ისე ნასაკირალის სკოლის მშენებლობის შესახებაც იმსჯელებენ.

სხდომამ ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების არსებული მდგომარეობაც განიხილა.

ითქვა, რომ პარკირების სამსახურის შენახვა სახელმწიფოს ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

–არაფერს არ იძლევა აიპი. უნჯობესია კერძო პირზე გაიცეს ოჯარით და მუნიციპალიტეტს ეცოდინება რა შემოვა ბიუჯეტში –აღნიშნა **ქათამაძემ.**

თუ რა ფორმით იქმნება აიპი ამას საკრებულო მერიასთან ერთად განიხილავს.სიახლეა– ავტომობილის პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი ქუჩების სია განიხილეს და საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების დაგეგმარების შესახებ იმსჯელეს.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის №1 ჩიხის მცხოვრებთა კოლექტიური წერილიც განიხილეს, სადაც ისინი ამორტიზებული ჩიხის რეაბილიტაციას ითხოვენ.

ქ. ოზურგეთის, უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრებმა **კაკო თავდუმაძემ** სხდომაზე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ანასეულის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილების მოწყობის შემდეგ მშენებლმა კომპანიამ არ აღადგინა მშენებლობისას დაზიანებული 300 მეტრი ღობე, რომელიც აქ მდებარე 20-მდე ოჯახის სახნავ-სათეს ფართობს იცავდა პირუტყვისაგან.

ამ თემაზე ექადიელებმა მაჟორიტარ დეპუტატს დავით მდინარაძეს მიმართეს, რომლის მეშვეობითაც მერიამ შესაბამისი წერილით მიმართა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებს.

–წერილი გაგზავნილია მშენებელ კომპანიასთან, ველოდებით პასუხს –განაცხადა **ბექა თოიძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის საჯარო მოხელეებთან შეხვედრა გაიმართა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ევროკავშირი - საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა.

60-ზე მეტ მონაწილესთან სამართლის დოქტორმა, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებულმა პროფესორმა, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე **ეკატერინე ქარდავამ,** ვრცლად ისაუბრა ევროპული ინტეგრაციის ამოცანებზე. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის დახმარების პროექტებზე, ასოცირების შეთანხმებაზე, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში იმ სარგებელზე, რომელიც საქართველომ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებით შეიძლება მიიღოს, ასევე, ჩვენი ქვეყნის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარდგენილი განაცხადის ისტორიულ მნიშვნელობაზე და იმ კრიტერიუმებსა და პროცედურებზე, რომლებიც უნდა გაიაროს და დააკმაყოფილოს განმცხადებელმა სახელმწიფომ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობის მოსაპოვებლად. შეხვედრას მოდერაცია გაუწია საინფორმაციო ცენტრის გურიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ირაკლი პაპავამ, რომელმაც ცენტრის საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ ისაუბრა.

ეკეტერინე ქარდავამ პასუხები გასცა შეხვედრის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ეხებოდა.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

ხერსონელები ოზურგეთში

ალიონი. ხერსონი და ხერსონის ოლქი ოზურგეთელებისათვის დიდი მეგობრობის ისტორიასთან ასოცირდება. ოზურგეთელი ბიძინა ვაშალომიძე ზღვამ და ამ მხარის სიყვარულმა დააკავშირა ქ. ხერსონს. აქ დაქორწინდა და ამ ქალაქში ცხოვრობდა. გამოცდილი მეზღვაური იყო. დაახლოებით სამი ათეული წლის წინ დაიღუპა. დარჩა 2 მცირეწლოვანი შვილი, რომლებმაც რამდენიმე თვეში დედაც დაკარგეს–ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ბებია-ბაბუებმა დიმა უკრაინაში დაიტოვეს, ხოლო თამუნია ოზურგეთში გაიზარდა.

დიმა ვაშალომიძეც მეზღვაური გახდა. რუსეთ-უკრაინის ომი რომ დაიწყო, ის შორეულ ნაოსნობაში იყო. სახლში, ხერსონში მეუღლე მარინა პილისჩუკი და პატარა ანია დარჩნენ. მარინას ხერსონის გემთმშენებელი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და პროფესიით ეკონომისტია, თუმცა ამჟამად მუშაობა შეუძლებელი იყო.

–რუსები ხერსონში რომ შემოვიდნენ, საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობა იმ რაიონში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, თუმცა განუწყვეტლივ შიშში ვიყავით. ჩვენი საცხოვრებელი კვარტალი გემთმშენებელ ქარხანასთან ახლოს მდებარეობს და შესაძლებელი იყო აქაც შემოსულიყვნენ. შემდეგ თანდათან ვხედავდით, რომ ჩვენთან ახლოსაც იყო სროლები, აფეთქებები, სასწრაფოდ წამოსვლა გადავწყვიტეთ. რა უნდა წამოგველო, როცა დიდი გზა გვქონდა გასავლელი: მოლდოვა, რუმინეთი. მოვახერხეთ და ბუქარესტიდან თვითმფრინავით ჩავფრინდით სტამბულში. იქედან კი საქართველოში ჩამოვედით. ოზურგეთში ჩემი მეუღლის – დიმას მამიდასთან ვცხოვრობთ. მე კი ვარ აქ საიმედოდ, მაგრამ ახლა დედაზე და ჩემს ახლობლებზე ვწუხვარ, რომ ისინი ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებენ ქალაქის დატოვებას, რუსები ამის უფლებას არ აძლევენ, რეფერენდუმი უნდათ ჩაატარონ, რასაც უკრაინის შეიარაღებული ძალები არ დაუშვებენ – ამბობს მარინა.

დაახლოებით ერთი კვირის წინ 4 წლის ანიას თამაშის დროს ძაღლმა ლოყაზე უკბინა. ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში „განსაკუთრებულ პაციენტს“ საჭირო ქირურგიული დახმარება აღმოუჩინეს – ნაკერები დაადეს.

–ყურადღებიანი ხალხი ცხოვრობს ოზურგეთში. მე ამას, როგორც უკრაინის მოქალაქე ვგრძნობ. მადლობელი ვარ „მედალფას“სამედიცინო პერსონალის, მთავარი ექიმის დავით მდინარაძის ყურადღებით. აღდგომას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ნუგზარ ურუშაძე გვესტუმრა და დეპუტატის ბიუროს სახელით სააღდგომო საჩუქრები გადმოგვცა. ყოველდღიურად ვლოცულობ, რომ მალე დასრულდესს ომი და გამარჯვებულ უკრაინაში დავბრუნდე – გვითხრა მარინამ.

ოზურგეთმა უმცროს ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობას უმასპინძლა

ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება ჭიდაობაში , უმცროს ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობას მასპინძლობს.

სპორტული ღონისძიება ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტის სასახლეში იმართება.

შეჯიბრში მონაწილეობას , მთელი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული ასაკის (15 წლამდე) მოჭიდავეები მონაწილეობს.

საქართველოს პირველობა 28 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა და ოთხ დღეს გასტანა. (28 - 29 აპრილი ბერძნულ - რომაული ჭიდაობა, ხოლო 30 აპრილი - 1 მაისი თავისუფალი სტილი)

აღნიშნულ ჩემპიონატში გამარჯვებულები ევროპის პირველობაზე საგზურს მიიღებენ.

სპორტის სასახლეში საქართველოს პირველობა საზეიმო ღონისძიებით ანსამბლმა , „ვახტანგურმა,“ და „მეგობრობამ“ გახსნეს.

გახსნის ცერემონიას თბილისელი სტუმრები, ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები, ოლიმპიური ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი - გურიის ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი მერაბ ჭანუყვაძე სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად დაესწრნენ.

საქართველოს დროშა წარმატებულმა და სახელოვანმა ოზურგეთელმა სპორტსმენებმა იური ლომაძემ და ლუკა ჯავახაძემ საქართველოს ჰიმნის ფონზე აწიეს.

ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა შორის ოზურგეთელებმა 2 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **ლუკა ფიფია** და **გიორგი როყვა** (შესაბამისად 52 და 57 კგ. წონით კატეგორია).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **ლუკა კილაძემ, ერეკლე თავბერიძემ, ზურაბ სადრაძემ.** (44, 48, 57 კგ. წონით კატეგორია).

ბრინჯაო 48 კგ. წონით კატეგორიაში **რეზო გუჯაბიძემ** და **გიორგი თავბერიძემ მოიპოვეს.**

გუნდურ ჩათვლაში ოზურგეთელები თბილისის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდნენ.

ოზურგეთელი ჭაბუკები ასპარეზობისთვის **გურამ მაჭარაშვილმა, ძმებმა ზურაბიანებმა, კობა ბალავინოვმა, კახა აბაშიძემ, ლაშა გუჯაბიძემ** მოამზადეს.

„მინდა საქართველო მიცნობდეს“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე,მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სამხატვრო სკოლაში აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილ გამოფენას დაესწრო.

ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების გამოფენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მერმა სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვა კომპანია „კრეატივ ივენთის " მიერ მოწყობილ საქალაქო გამოფენაში „მინდა საქართველო მიცნობდეს" მონაწილე 9 მოსწავლე.

გურიაში კოლხური ხოხობის მოშენება დაიწყეს

ალიონი. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში ცნობილი ექიმისა და მეფუტკრის **ილია ნინიძის** ინიციატივით დაბალი ეწერის მიდამოებში, 40 ცალი ხოხობი გაუშვეს.

აღნიშნული ხოხბები ილია ნინიძეს ველური ბუნების სააგანტომ გადასცა, რომლებიც მათი მოშენება-გამრავლებით არიან დაკავებულები.

ხოხბების ველურ ბუნებაში გაშვების პროცესს ესწრებოდნენ ადგილობრივი მონადორეები და ახალგაზრდები.

გაზეთ „ალიონს“ ამ აქციის შესახებ სოფელ ასკანის მკვიდრი, ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი **ლევან ნინიძე** ესაუბრა:

–კოლხური ხოხობი წინათ გავრცელებული იყო ძირითადად კოლხეთის დაბლობზე. ისინი (განსაკუთრებით მამალი) მეტად ლამაზი, მკვეთრი შეფერილობით გამოირჩევა. ძირითადად ბინადრობს ზღვის დონიდან 800 მეტრ სიმაღლემდე. ძალიან სასარგებლო ფრინველია. ბრაკონიერებმა და სხვა არასასურველმა პირობებმა მათი რიცხვი საქართველოში მკვეთრად შეამცირა. ახლა ველური ბუნების საგენტომ ამ ფრინველის გამრავლებაზე და ბუნებაში გაშვებაზე ზრუნავს.

როცა ევროკავშირში გაწევრიანება გვსურს, იქაური გამოცდილებაც უნდა გავიზიაროთ. ევროპის ქვეყნებში ხელოვნურ პირობებში გაზრდილ ფრინველებს უშვებენ ტყეებში, ველებზე. ნადირობის სეზონზე მონადირეები მკაცრ რეგულაციებს ემორჩილებიან.

ჩვენს კითხვაზე, კოლხური ხოხობის ბუნებაში გაშვებას რა პერსპექტივა აქვს, გვიპასუხა, რომ ეს აქციები გაგრძელდება. ამ საკითხით დაინტერესდნენ ცნობილი მეცენეტი ძმები ჩხაიძეები.

– გოჩა ჩხაიძემ გამოთქვა სურვილი, რომ რეგიონში 500 კოლხურ ხოხობს შემოიყვანს და არა მარტო ასკანაში, არამედ მთისპირში, ვაკიჯვარში და გურიის რეგიონის იმ ადგილებშიც გაუშვებენ, სადაც მათი გამრავლების კარგი პირობებია. მან უკვე მისცა შეკვეთა ველური ბუნების სააგენტოს.

მეორე ძმის „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებლის, ზურაბ ჩხაიძის სახელს უკავშირდება გურიასა და აჭარაში (ქედის რაიონი) გურული ვაზის უნიკალური ჯიშების ვაზის ნერგების ჩამოტანა ჯიღაურას სანერგე მეურნეობიდან. მან 150 ათასამდე „ჩხავრის“, „საკმიელას“, „ჯანის“, „ალადასტურის“ და სხვა ჯიშების ნერგი ჩამოიტანა და მოსახლეობას უფასოს გადასცა. ამჯერად კი ასკანელი ძმები კოლხური ხოხობის მოშენებაზეც იზრუნებენ.

მძლეოსანთა წარმატებები ღია ჩემპიონატზე

27 - 28 აპრილს ახალციხის მუნიციპალიტეტის მიხეილ იაძის სახელობის მძლეოსნობის სტადიონმა, ახალციხის ღია ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში.

ასპარეზობაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მძლეოსანთა სექციის ცხრა სპორტსმენმა იასპარეზა. ახალგაზრდებმა ჩემპიონის ტიტული, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ოქრო

ქეთევან თევზაძემ (დიდებში) ადგილიდან ხტომა და **მერაბ მახარაძემ** 300 მ რბენაში (2004 - 2005 წ.);

ვერცხლი

გიორგი დეკანოიძე (დიდები) შუბის ტყორცნა;

ბრინჯაო

ლუკა ჯაფარიძე შუბის ტყორცნა (დიდებში)

ლიზი ლომაძე (2009-2010 წ) 300 მ რბენაში

გიორგი მელივა (2004 - 2005 წ) 2000 მ რბებაში

ასევე კარგი შედეგი აჩვენა 100 მ რბენაში, ლაშა ტუღუშმა, (დიდებში) რომელიც მეოთხე ადგილზე გავიდა და ამჯერად მედლის გარეშე დარჩა.

გუნდი ასპარეზობისთვის მარინა კოტრიკაძემ მოამზადა.

ოზურგეთელი მძლეოსნები და მათი მწვრთნელი განსაკუთრებულ მადლობას უხდიან ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ირაკლი ლაზარაშვილს, რომელმაც პრიზიორებს მედლებთან და სიგელებთან ერთად ფულადი ჯილდოები გადასცა.

„შეეშვით რუსული პროპაგანდის ტირაჟირებას ჩემს სამშობლოსთან მიმართებაში!“

მაკა დოლიძე უკვე მეათე წელია ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ცხოვრობს. დღეს ის მედიათმცოდნე და საზოგადოებრივი ინტეგრაციის სპეციალისტია. მას, როგორც ქართველსა და როგორც გურულს მიაჩნია, რომ ყოველი ქართველის მოვალეობაა დაიცვას საკუთარი ქვეყანა მავნებლური დამოკიდებულებებისგან. მისი სტატიები ხშირად ხდება ნორვეგიული მედიის ინტერესის საგანი. აქ გთავაზობთ ამა წლის მარტში ნორვეგიის წამყვან ჟურნალ „სუბიექტში“ გამოცემული სტატიის თარგმანს - რუსული პროპაგანდის დაგმობის მნიშვნელობაზე.

შეეშვით რუსული პროპაგანდის ტირაჟირებას ჩემს სამშობლოსთან მიმართებაში!

პროპაგანდის საშუალებით რუსეთი ცდილობს დაიპყროს მათი გონება, ვისაც ის ფიზიკურად ჯერ კიდევ ვერ მიწვდა. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ეს ნათელია, წერს მაკა დოლიძე.

ჩემი გზა, ჩემს მეორე სამშობლო-ნორვეგიამდე ჩემი ბიოლოგიური სამშობლო-საქართველოდან, ბავშვობის ოცნებამ განაპირობა. მას საფუძველი ჩაუყარა სიყვარულმა ნორვეგიისადმი, მისი ენის, ისტორიის, ხელოვნებისა და მუსიკისადმი. არანაკლებ იმ ღირებულებებისადმი, რომელზეც დგას აქაური საზოგადოება. რაც უფრო მეტად იზრდებოდა ეს სიყვარული, მით უფრო მტკივნეული ხდებოდა უსამართლო მოპყრობის ატანა ჩემი ბიოლოგიური სამშობლოს მიმართ.

როცა პირველად, როგორც სტუდენტმა მივიღე დროებითი დოკუმენტი ცხოვრების უფლების შესახებ, მასში ეწერა: „სამშობლო: საქართველო (სსრკ)“.

სსრკ შემოკლებაა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“, როგორც სრული სახელი საბჭოთა კავშირის, რომელიც დაინგრა 1991 წელს.

შოკირებულმა თავი ვალდებულად ვიგრძენი ამის შესახებ შემეტყობინებინა მიგრაციის სამინისტროსთვის, თუნდაც ღამისთევის ფასად. როგორც ახალჩამოსულ სტუდენტს, რომელიც მარტო ვუმკლავდებოდი დამკვიდრების ფაზას არაფრის დრო არ მქონდა, რადგან ძალიან ბევრი საქმე და პასუხისმგებლობა მაწვა მხრებზე. პასუხი მოვიდა დაგვიანებით, თუმცა საკითხი სერიოზულად იქნა აღქმული.

ბევრი თვე დასჭირდა იმის აღმოჩენას, რომ სამინისტროს განაცხადების საიტის წარმოებაში რუს დეველოპერებსაც მიეღოთ მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირზე უფრო ძველი

ერთი წლის შემდეგ, როცა მსგავსი დოკუმენტი ავიღე, იქ დამხვდა საქართველო და წერტილი! დიდი მადლობა ამისთვის ნორვეგიის მიგრაციის სამინისტროს!

მაგრამ მაღალი უსაფრთხოების მოთხოვნების მქონე ვებ-საიტების აწყობის უფლებას შემდეგ ჯერზე თუ შემთხვევით უცხოელ მუშახელს არ მივცემთ, ალბათ ჭკვიანური იქნება.

სამწუხაროდ, ამის პარალელურად ნორვეგიული ფოსტაც იყენებდა „სსრკ“-ს, თავს კი იმართლებდნენ იმით, რომ შტატი ჯორჯია ვერ გაერჩიათ საქართველოსგან – უძლური არგუმენტია!

აქ უნდა ვთქვა: „ბოლოს და ბოლოს, დაგვიძახეთ მაშინ საქართველო!“ ჩვენ საქართველოს ვეძახით საკუთარ ქვეყანას!

ჩემი სამშობლო მედიის მიერ მუდმივად დეფინირებულია როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანა. ეს აზიანებს საქართველოს იდენტობას როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ.

საქართველო 1921 წელს ძალით დაიპყრეს და შეუერთეს საბჭოთა კავშირს, ნორვეგიისაგან განსხვავებით, რომელიც 1940-1945 წლებში გერმანიის მიერ იყო დაპყრობილი. მაგრამ, იქნებოდა კი სამართლიანი ან ეთიკური ნორვეგიის მუდმივად პოსტნაცისტურ ქვეყნად მონათვლა?! არანაირად! ასეა საქართველოც, რომელიც დამოუკიდებელი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირის შექმნამდეც.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ არის პრორუსული და ემსახურება რუსეთის ინტერესებს, რომელიც მუდმივად ცდილობს უფრო დიდი რეგიონული სახელების გამოყენებით მცირე ერების იდენტობისთვის გვერდის ავლას. ქართულ ფოლკლორს მოიხსენიებდნენ, როგორც კავკასიურ ფოლკლორს, ქართულ ნაგაზს -კავკასიურ ნაგაზს - რომ მიეთვისებინათ ყველაფერი ქართული.

ჩვენი აზრების კოლონიზების მცდელობა

სკოლის მოსწავლეს რუსულის გაკვეთილის დატოვებაც დამჭირვებია, მხოლოდ იმიტომ რომ საბჭოთა ომზე შექმნილი პროპაგანდისტული ლექსის ნაცვლად, ბორის პასტერნაკის მშვიდობიანი და ლამაზი ლექსის მოყოლა ვარჩიე.

13 წლისამ ვკითხე მამას მაშინ, თუ რატომ იყო რუსეთი ასეთი დაკავებული პროპაგანდით.

„– ისინი არ ცდილობენ მხოლოდ ტერიტორიების მიტაცებას, მათ უნდათ რომ ფლობდნენ და აპროგრამებდნენ ადამიანებსაც. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კურდღელი მოკლან და მეტი ხელიც ჰქონდეთ მათ სათრევად.“– მიპასუხა მან.

შარშან ზაფხულს ვეწვიე შესანიშნავ გამოფენას „**Road of Glory**“ ნობელის მშვიდობის ცენტრში. გამოფენა ეძღვნებოდა საკვების შეზღუდვის იარაღად გამოყენებას ომში. ნაშრომებს დართულ მსოფლიო რუქებზე კი არ არსებობდა საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის. ყირიმი, რომელიც უკრაინაა ასევე რუსეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

მაშინვე გადავწყვიტე ამის თაობზე შემეტყობინებინა ჰიერშტი ფლოისტასთვის, რომელიც ცენტრის დირექტორია. ის ცენტრამდე ასევე **UNICEF**-ს ხელმძღვანელობდა ნორვეგიაში.

შეტყობინებაში ვცადე ხაზი გამესვა ნობელის მშვიდობის ცენტრის, როგორც მშვიდობის საქმეში სამაგალითო ინსტიტუტის პასუხისმგებლობისთვის. დავწერე რომ ასეთი შეცდომები შეიძლება აღქმული იქნეს როგორც უცოდინრობა, პოლიტიკური გულგრილობა, ან როგორც პოლიტიკური ძალის ბოროტად გამოყენება. მე იმედი გამოვთქვი იმისა, რომ მათი პროფესიონალიზმი და კარგად განვითარებული სამართლიანობის გრძნობა გადაწონიდა რუქების ცვლილების ხარჯებს.

თუმცა მეორე დღეს მივიღე ძალიან მოკლე პასუხი, სადაც ზედმეტად ბევრი „თუკი“ და „იმ შემთხვევაში“ იყო გამოყენებული, თითქოს რაიმე შეცდომა ჩემს მხარეს იყო მოსაძებნი.

რუსული პროპაგანდა **WiFi** არ არის, რომ მხოლოდ შეზღუდულ არეალზე ვრცელდებოდეს. ის ცდილობს ასევე ჩვენი ისტორიის და კულტურის კოლონიზებას.

სწორედ ასე ახდენენ იმათი ტვინების ოკუპირებას, ვისაც ჯერ ფიზიკურად ვერ იპყრობენ.

ჟურნალ „შუბჯეკტ“-ის რედაქცია კომენტარისთვის დაუკავშირდა ნობელის მშვიდობის ცენტრის დირექტორ ჰიერშტი ფლოისტას. გთავაზობთ მის კომენტარს:

„ჩვენ ამ კითხს უკიდურესი სერიოზულობით მოვკიდეთ. ეს არის ნამდვილად შეცდომა, რომელიც არ ეპატიება ნობელის მშვიდობის ცენტრს, სადაც ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უტყუარი და ზუსტი. მე მყისიერად დავუკავშირდი ჩვენს კურატორს და ჩვენ ვაწარმოეთ ახალი რუქები, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო საზაფხულო არდადეგები იყო. რათქმაუნდა ბოდიშს ვიხდით, რომ მაკა დოლიძეს მეილით არ შევატყობინეთ რუქების ცვლილების შესახებ.“

მაკა დოლიძე გულითად სალამს უგზავნის თავის ძვირფას კუთხეს და ხაზს უსვამს სიფხიზლის მნიშვნელობას.

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

ანდრია იორაშვილი

გვარი იორაშვილი იშვიათია ოზურგეთში. ანდრია იორაშვილის შესახებ არც არავინ იცოდა არაფერი. მხოლოდ ვიცოდი ქალბატონი სულიკო იორაშვილი №1 საჯა-რო სკოლის პედაგოგი ამჟამად გარდაცვლილია.იგი ადრე სკოლა-ინტერნატის გვერდით ცხოვრობდა, სადაც მე ვმუშაობდი. შემთხვევით უნივერმაღში შემხვდა და გამოვესაუბრემოკლე ხანში გამაცნო ანდრო იორაშვილის ნათესავი ოზურგეთში დასასვენებლად ჩამოსული დალი ავალიანი.

დალი ავალიანი არის ანდრია იორაშვილის დისშვილიშვილი. ინტერვიუს ჩაწერის დროს იყო 69 წლის, ცხოვრობდა თბილისში. ქალბატონ დალის ახსოვდა მისი ბებიის კატოს მონათხრობი საზ-ღვარგარეთ მოჯირითე ძმის შესახებ.

ანდრი ანუ ანდრო დაიბადა სოფელ შემოქმედში, გორისფერდში ოფიცრის ოჯახში დაბადების თარიღი არ ახსოვს. მამამისი მიხეილი მეფის ჯარის ოფიცერი იყო. ორაშვილები აზნაურები იყვნენ და ფლობდნენ ადგილ-მამულებს შემოქ-ედში.

ანდრია იორაშვილი სხვა გურულ მოჯირითეებთან: პრინც ერისთავი (პინცად მოიხსენიებდნენ ჟგუფის ხელმძღვანელებს), ფრიდა მგალობლიშვილთან,„დიმიტრი მგალობლიშვილთან,გიორგი მაქსიმელიშვილთან, ალექსანდრე ცინცაძესთან, მიხეილ კობალაძესთან და სხვებთან ერთად ჯირითობდა 1893 წელს ადამ ფარეპას ცირკში .ეს შემადგენლობა განსაკუთრებით წარმატებული იყო. გაზეთები და ჟურნალები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ფრიდა მგალობლიშვილს ჯირითს, მის გარეგნობას განათლებას:„ *პრინც დიმიტრის ახლავს პრინცესა, რომელიც ერთდერთია კაზაკების ჯგუფში, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობს, განათლება მიღებული აქვს პარიზში და საუბრობს ფრანგულ-კავკასიური აქცენტით“* გურულ მოჯირითეების შესახებ რომლებსაც კაზაკებს ეძახდნენ „ *კოზაკები შეიძლება მივაკუთნოდ მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო კავალერიას. ისინი ისე ასრულებდნენ გენიალური კოზაკებიც კი მოიხიბლეს“*(ამონარიდი რიჩარდ ჯორჯიანის წიგნიდან).

როგორ ეტყობა ანდრია იორაშვილი მხოლოდ ერთხელ იყო ამერიკაში. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა შემოქმედში ჰყავდა მეუღლე კესო და ორი ვაჟი მიხეილი და სერიოჟა. სერიოჟა 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს და იქვე გარდაიცვალა. მიხეილს, ამჟამად ისიც გარდაცვლილია ჰყავდა ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი .ქალიშვილები ლულუ და ნონა გარდაცვლილები არიან ვაჟი ანდრი ცხოვრობს თბილისში.

ქალბატონ დალის არ ახსოვს როდის დაიბადა და გარდაიცვალა ანდრია იორაშვილი. მითხრა მხოლოდ ის, რომ დაკრძალული უნდა იყოს შემოქმედში.

ინტერვიუ ჩაწერილია 2001 წლის 27 აგვისტოს.

მანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

განცხადება „ბახვი 1 ჰიდრო ელექტროსადგურის“ პროექტის მიმდინარეობის შესახებ

2022 წლის 29 აპრილს, „ბახვი1 ჰიდროელექტროსადგურის“ განმახორციელებელმა კომპანიამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მდინარე ბახვისწყალზე დაგეგმილი მცირე ზომის ჰი–დროელექტროსადგურის, „ბახვი 1 ჰესის“ პროექტის გზშ-ს განხილვის ფარგლებში, დოკუმენტაციის დამატებითი პაკეტი მიაწოდა.

ბახვი1 ჰიდროელექტროსადგურის“ სპეციალისტების მიერ შექმნილი დოკუმენტაციის პაკეტი მოიცავს ყველა იმ კითხვაზე პასუხს, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვის ფარგლებში გაუჩნდათ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე სამინისტროს ექსპერტებს. გზშ-ს დოკუმენტი, რომელიც 600-მდე გვერდს მოიცავს, ასევე დოკუმენტაციის პაკეტში არსებული არაერთი დანართი, რიგ შემთხვევაში დაზუსტებებს საჭიროებდა.

გზშ-ს ანგარიშის განხილვის პროცესი, მისი ჩაბარებიდან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე, ითვალისწინებს კითხვა-პასუხის რეჟიმს, რაც თითოეულ დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას ღიად გააჟღეროს მისთვის საინტერესო თემა, მოითხოვოს და მიიღოს მეტი ინფორმაცია პროექტის განმახორციელებელი კომპანიისგან. ეს გზშ-ს განხილვის პროცესში მიღებული პრაქტიკაა, შესაბამისად გამონაკლისს არც „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგური“ წარმოადგენს. კომპანიის სპეციალისტებმა ამჯერადაც, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს სამინისტროს, იმისათვის რათა დროულად მოხდეს როგორც მიწოდებული ინფორმაციის განხილვა, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა.

გზშ-ს დოკუმენტი, შესაბამისი დანართებით, შპს „სი-სი-ი-ეიჩჰაიდრო VI“-ის მიერ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროში წარდგენილი იყო 2021 წლის 20 დეკემბერს, სამინისტროს ვებ - გვერდზე გასაჯაროების თარიღი კი, 2022 წლის 23 დეკემბერია. არსებული კანონმდებლობასთან შესაბამისობაში გზშ-ს ოთხი საჯარო განხილვა ჩატარდა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს ოზურგეთსა და ჩოხატაურში, ასევე მთისპირის და ჩხაკაურას თემებში.

ოზურგეთის აბსოლუტური ჩემპიონი თენგიზ თოიძეა

მუნიციპალური ჩემპიონატი 14 და 16 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის აპრილის მეორე ნახევარში ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა. 15 მონაწილეს შორის ჩართული იყო ის მოჭადრაკეებიც, რომლებიც ასაკობრივ კატეგორიებში, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ. პრაქტიკულად ჩემპიონატმა აბსოლუტური პირველობის სახე მიიღო და იგი შეეცარული სისტემით, შვიდ ტურად, ჩატარდა. გათამაშდა სინტერესო პარტიები, რომლებშიც ახალგაზრდებმა თამაშის ბევრად უფრო მაღალი დონე აჩვენეს, ვიდრე წინა ჩემპიონატებში. რაც შეეხება პროგნოზებს, ამ მხრივ 13 წლის **თენგიზ თოიძის** გამარჯვებაში ეჭვი არავის შეუტანია.მ მართლაც, მან პრაქტიკულად ყველა პარტია მოიგო და დამსახურებულად გახდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის აბსოლუტური ჩემპიონი.

ჭაბუკებში ვიცეჩემპიონის ტიტული კი ბრწყინვალე შედეგით **თამარ ასათიანმა** დაისაკუთრა, რომელმაც მხოლოდ ერთი პარტია დამო, ისიც ჩემპიონ თენგიზ თოიძესთან. ამ ნიჭიერ გოგონას, ყველა მონაცემი აქვს დიდი ჭადრაკი ითამაშოს, მაგრამ მეტ ყურადღებას მაინც სკოლას უთმობს, სადაც განსაკუთრებული აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, აბსოლუტურ ჩათვლაში მესამე ადგილზე ლიხაურელი **ანდრია კიკაბიძე** გავიდა.

. 16 წლამდე გოგონათა შორის ჩემპიონი, უდანაკარგო შედეგით, **თამარ ასათიანი** გახდა. აქ მეორე ადგილი **ლიზი ვასაძემ** დაიკავა, ხოლო მისი და **ნათია ვასაძე** მესამე ადგილს დასჯერდა.

14 წლამდე ასაკის ჭაბუკების ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ერთდროულად სამ მოჭადრაკეს თანაბარი ქულებით აღმოაჩნდა. დამატებითი კრიტერიუმებით ჩემპიონობა **ნიკოლოზ ბარამიძემ** მოიპოვა. **დემეტრე გოგიტიძეს** მეორე ადგილი ერგო, ხოლო **ლიზი ვასაძეს** კი მესამე.

ლიზი ვასაძემ თავისი შედეგით, 14 წლამდე გოგონებში ჩემპიონობაც მოიპოვა. ამავე ასაკობრივ კატეგორიაში მეორე ადგილი **მარიამ მახარაძემ** დაიკავა. აღნიშვნას იმსახურებს იმ მოჭადრაკეებიც, რომლებიც საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ მიუხედავად მათი პატარა ასაკისა, კარგი, გააზრებული თამაში აჩვენეს. ესენია **ლაზარე ჩხარტიშვილი, სანდრო გოგუაძე** და **აკაკი სიხარულიძე.**

ჩემპიონატი საზეიმო ვითარებაში დაიხურა.წარმატებული მოჭადრაკეები დიპლომებით, თასებით და შესაბამისი სინჯის მედლებით დაჯილდოვდა.

ლანჩხუთელმა მიხეილ აფხაზავამ მემორიალური ტურნირი მოიგო

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში გაიმართა ტრადიციული მემორიალური ტურნირი, რომელიც მიეძღვნა გარდაცვლილ მოჭადრაკეთა ხსოვნას. როგორც წესი, იგი აღდგომის დღესასწაულის მომდევნო კვირაში იმართება და უკვე რამდენიმე წელია ფედერაციის კალენდარში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ტურნირი ამჯერადაც საინტერესო გამოდგა, რასაც ხელს უწყობდა მასში, ტიტულოვანი და გამოცდილი მოჭადრაკეების საკმაო ჩართულობა. მიუხედავად იმისა, შეჯიბრება სწრაფი ჭადრაკის რეგლამენტით ჩატარდა, ჭადრაკის გულშემატკივრებმა ბევრი შემოქმედებითი და ხარისხიანი პარტიები იხილეს.

პირველი ადგილისათვის ბრძოლა, თითქმის თანაბარი შანსებით დაიწყო გურიის ჩემპიონმა გიორგი გოგოლაურმა, ოზურგეთის არაერთგზის ჩემპიონებმა გივი სიამაშვილმა და ელგუჯა ურუშაძემ და ლანჩხუთის მოქმედმა ჩემპიონმა 14 წლის მიხეილ აფხაზავამ. მისასალმებელია, რომ ფავორიტებს შეუერთდა, ტურნირში, ქალთა შორის გურიის ჩემპიონის ქვოტით მოთამაშე, ნათია ვასაძე, რომელმაც შეჯიბრების პირველი ნახევარი, პრაქტიკულად უდანაკარგოდ გაიარა.

საბოლოოდ ყველას აჯობა **მიხეილ აფხაზავამ,** რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილზე **გივი სიამაშვილი** გავიდა, მესამე-მეოთხე ადგილები **გიორგი გოგოლაურმა** და **ნათია ვასაძემ** გაიყვეს. ტურნირის ყველაზე ასაკოვან და ტიტულოვან მოჭადრაკეს, 91 წლის ბატონ **რომან კუტუბიძეს** შედეგი ამჯერად მოკრძალებული ჰქონდა, მაგრამ მისმა მწვავე კომბინაციურმა და ლამაზმა თამაშმა, კვლავაც მოხიბლა გულშემატკივარი.

ღონისძიების დახურვაზე გაიხსენეს და პატივი მიაგეს იმ მოჭადრაკეების ხსოვნას, რომლებსაც გამორჩეული ადგილი უკავია ოზურგეთისა და გურიის საჭადრაკო ცხოვრების ისტორიაში.

ხსოვნა

ბაბუცა აბრამალაძე

ამ ქალბატონს კიდევ ოთხი წელი რომ ეცოცხლა, ასაკით ერთი საუკუნის გახდებოდა. რა თქმა უნდა, 100 წლის იუბილე განსაკუთრებულად აღსანიშნავია და მასაც საგანგებო ზეიმს მოუწყობდნენ შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, დანარჩენი საახლობლო და მეზობლებიც. ყველანი ერთად მოიყრიდნენ თავს, გაიხსენებდნენ წარსულ ამბებს, იუბილარს ბევრ თბილ სიტყვას ეტყოდნენ, შემდეგ ქალბატონი ბაბუცა თავის საგულდაგულად შენახულ ფანდურს მოითხოვდა და ზედ დაამღერებდა, მას სხვებიც აუწყობდნენ ხმებს და იქნებოდა უზომო მხიარულება, ურთიერთ სიყვარულის გამოხატვა.

მაგრამ არ შედგა ასეთი იუბილე. 96 წლის ქალბატონი გალობით, ყვავილებითა და ცრემლებით გააცილეს ამ ქვეყნიდან 40 დღის წინ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი ქალაქის ეკლესიის დიდი მრევლის უხუცესი წევრი.

გულსუნდა მახარაძე

სკანვორდი



პასუხები:

ალბერტ ეინშტეინი ფიზიკოსი; ბერლინი — გერმანიის დედაქალაქი; ბეთანია — ებრაული სახელი; ბეკა — ბეკა ბუჩუკურიანი; ბეკეტი — ბეკეტ ფეიგინ ლინჩი; ბეტონი — ბეტონ ბეტონ; ბეჭედი — ბეჭედ ბეჭედ; ბეჭედი — ბეჭედ ბეჭედ; ბეჭედი — ბეჭედ ბეჭედ

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



თუ როგორი არასწორი, საშინელი შეხედულებები არის ჩვენი მხარის შესახებ არა მხოლოდ ხალხის მასაში, არამედ რუსული საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ფენებში, ამაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით. მაგალითად, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, რუსული პერიოდული გამოცემის ერთ-ერთმა სერიოზულმა ორგანომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხის განხილვისას, ვერ იპოვა ჩვენში ამ ინტიტუტის შემოღების საფუძველი იმავე მიზეზით, რომ კავკასია თავისი მცირედკულტურულობის გამო ამ რეფორმის მიღებისათვის მზად არ იყო. საერთოდ, რუსებში ჩვენს შესახებ, მცირე გამონაკლისების გარდა, გაბატონებულია წარმოდგენა, როგორც ნახევრადველურ ხალხზე, რომელსაც არ შეუძლია ცივილიზებული ხალხების ცხოვრებით იცხოვროს.25 აი, ასე ფიქრობენ ერზე, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურა, ლიტერატურა, პოლიტიკურ პარტიებად დაჯგუფებული მნიშვნელოვანი ინტელიგენტური ძალა და, ბოლოს, ერზე, რომელმაც შექმნა სრულიად გააზრებული გლეხთა მოძრაობა, ჯერ გურიაში და შემდეგ დასახლებული ტერიტორიის თითქმის მთელ სივრცეზე. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ხდება ჩვენი ცხოვრების პირობებში რუსი ხალხის გაუთვითცნობიერებლობის გამო, ჩვენი ხალხის წარსულისა და აწმყოს უცოდინარობის გამო. ასეთ პირობებში კი, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი საკანონმდებლო და მართვის სფეროებში გადაწყვეტილი იქნება რუსი ხალხის რჩეულების მიერ ისეთივე შაბლონით, როგორიც შეთვისებული აქვს თანამედროვე ბიუროკრატიას, ე. ი. ადგილობრივ პირობებთან, ადათებთან, წესებთან, მსოფლმხედველობასთან და, საერთოდ, ხალხის ეროვნულ თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე.

ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და ავტონომიის საწყისებზე ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხის ერთ, რუსული სახელმწიფოს ქვეშევრდომებისთვის საერთო, საკანონმდებლო დაწესებულებაში თავმოყრას არ შეიძლება არ მოჰყვეს საქმეების წარმოებაში უკიდურესი გაჯანჯლება და სტაგნაცია. ამჟამად უცხოტომელთა ბევრი, სავსებით არსებითი მოთხოვნა რუსეთში ათწლეულების განმავლობაში მთლიანად დაუკმაყოფილებელი რჩება, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ამ მოთხოვნილებების შესახებ ცენტრალური მთავრობა ძალიან გვიან იგებს, ან, რაც უფრო ხშირად ხდება, გამგებს ძალა არ შესწევს, მის უწყებაში შემავალი საქმეების დიდი რაოდენობის გამო, დროულად უპასუხოს ამ მოთხოვნებს. ასეთია ზოგადად ყველა დიდი სახელმწიფოს ხასიათი, სადაც საკანონმდებლო საქმეები ერთ საერთოსახელმწიფოებრივ ორგანოში კონცენტრირდება, იმის განურჩევლად, ეს ორგანო ბიუროკრატიულ საწყისებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს თუ – სახალხო მმართველობისა. ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის შემადგენლობის მრავალტომიობრიობის პირობებში, როგორც ეს გვაქვს რუსეთში, ცენტრალური დაწესებულება, როგორ იდეალურადაც უნდა იყოს ორგანიზებული, ადგილობრივი საქმეების სწრაფად და ადვილად გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვერასდროს მიაღწევს იმას, რისი გაკეთებაც ადგილობრივ პარლამენტს შეუძლია, რომელიც თავის იურისდიქციას მცირე ტერიტორიაზე ავრცელებს.

ევროპის პოლიტიკური ისტორიიდან ცნობილია, როგორი გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნული უფლებებისათვის სხვადასხვა ეროვნულ პარტიებს შორის პარლამენტში, რომელიც შედგენილია ამ სახელმწიფოში შემავალი ყველა ხალხის წარმომადგენლებისაგან. მსგავსი ბრძოლის კლასიკური მაგალითი, რომელიც ძალიან ცუდად აისახება სახელმწიფო ცხოვრების სწორ მიმდინარეობაზე, გვაქვს ავსტრიაში. დომინანტი ენის გამო მუდმივი დაპირისპირება, რომელიც სკოლაში, სასამართლოში, ადმინის-ტრაციაში არცთუ იშვიათად მუშტი-კრივამდეც მიდის, წარმოადგენს ავსტრიული და მის მსგავსად შექმნილი პარლამენტების ნამოქმედარს.26 საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეების მიერ რამდენი ძალა, ენერგია და დრო იხარჯება ფუჭად იმაზე, რასაც სახელმწიფოს შიგნით ხალხებს შორის ურთიერთობების სხვა, უფრო სამართლიან საფუძვლებზე აგების შემთხვევაში, საერთოდაც არ ექნებოდა ადგილი. ასეთ შემთხვევაში პირები, რომელთაც მილიონობით ადამიანის ბედი აქვთ მინდობილი, ბევრად უფრო დიდი სარგებლით ემსახურებოდნენ იმ მოსახლეობას, რომელსაც წარმოადგენენ. არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ცალკეული ერებისათვის, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიას იკავებენ, ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის უფლების მინიჭებით ყველა ეროვნული გაუგებრობა სარწმუნოების, ენის, სკოლის სფეროებში და სხვ., ე.ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ე.წ. ეროვნული საკითხი სწორ გადაჭრას ჰპოვებდა. ეს მოსაზრება ავტონომიური სამართლის საფუძველზე ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული წყობის ძირეული რეორგანიზების ერთ-ერთი ყველაზე წონადი არგუმენტი უნდა იყოს. როცა ყველა ხალხი, რომელიც კავკასიაში ცხოვრობს, მიიღებს უფლებას თავისი ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტში წარმართოს, როცა იგი გაბატონებულ ერთან სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობის პირობებში იქნება ჩაყენებული, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მისთვის ადგილობრივ საკანონმდებლო და მმართველობით საქმეებში სრული დამოუკიდებლობის მინიჭების გზით, ვვარაუდობთ, მხოლოდ მაშინ დადგება კავკასიელების რუს ხალხთან უფრო მჭიდრო და ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობების ჟამი. ხოლო რაც უფრო მეტი იქნება სოლიდარობა სახელმწიფოს სხვადასხვა ეროვნულ ელემენტებს შორის, რა თქმა უნდა, მით უფრო მყარი გახდება მათ შორის იურიდიული კავშირი.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტაცია კიდევ ერთი უაღრესად სერიოზული მსჯელობით უნდა შეივსოს, რომელიც საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. ავტონომიური მოწყობის მოთხოვნა ერთ დამატებით საფუძველს პოულობს უფლებების დარღვევის ფაქტში, რომლებიც გამოთქმული იყო წინა საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და რუსეთის მმართველების მიერ გაფორმებული შეთანხმებებით. ამ შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო ტრაქტატების ყველა თვისებით ხასიათდება, საქართველოს, რომელიც რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა, ქვეყნის შიდა მმართველობის საქმეებში სრული დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა, ანუ რუსეთის ავტონომიურ ნაწილად დარჩენილიყო.27 ქართული მხარეების (ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის) დამოკიდებულება, ხელშეკრულებების ძალით, რომლებსაც „სათხოვარი პუნქტები“ ეწოდებოდა, რუსული საიმპერატორო ხელისუფლების მხრივ სუვერენიტეტისა და მფარველობის აღირებაში გამოიხატებოდა. ამ მფარველობის გარდა საქართველო სავსებით თავისუფალი იყო: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს გამოკლებით, მთელი შიდა მმართველობა შეერთებული ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების შეუზღუდავი კომპეტენცია უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობა, და კანონების გამოცემაც, თუკი ეს უკანასკნელნი არ არღვევდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეერთების პირობებს, უნდა მომხდარიყო რუსეთის მთავრობის მხრიდან სრული ჩაურევლობის პირობებში. 1801 წელს სახელმწიფო საბჭომ, რომელიც **იმპერატორ ალექსანდრ I-ის** წარდგინებით საქართველოს რუსეთთან შეერთების საფუძვლებს იხილავდა, ქვეყანაში დროებითი რუსული მმართველობის დაწესება და საქართველოში გუბერნატორის დანიშვნა დაადგინა. გუბერნატორი საკუთარ თავში გააერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებას ანუ სახელმწიფო საბჭომ საქართველოში ავტონომიური მმართველობის სრული გაუქმების წინადადება წამოაყენა. ხელმწიფე სახელმწიფო საბჭოს ასეთ დასკვნას არ დაეთანხმა და ამ საკითხის ხელახლა განხილვა შესთავაზა, თანაც გენერალ-პროკურორ ბეკლემიშევს ნება მისცა საბჭოსათვის „საქართველოში ავტონომიური მმართველობის ძალადობრივად გაუქმების მიმართ **მისი უდიდებულესობის** უკიდურესი ზიზღის“ თაობაზე განეცხადებინა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1801 წლის 15 აპრილს სახელმწიფო საბჭო, საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ, ძველ აზრზე დარჩა, **იმპერატორი** დაეთანხმა საბჭოს აზრს და საქართველოში კნორინგი მოავლინა, შესანიშნავი რესკრიპტით, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მასში იმპერატორი წერდა: „ფაქტის არსის შეფასებისას, რომელიც მხოლოდ ჩვენთვისაა სასარგებლო, არ შეგვიძლია, არ ვაღიაროთ ამ სარგებლის სრული მნიშვნელობა; მაგრამ მიწიერი სამეფოების სარგებელი სხვა საზომით იზომება, რომელიც ერთიანი, ჭეშმატირი და შეუცვლელია: **სამართლიანობა და სხვისი უფლების ხელშეუხებლობა.**“ შემდგომ ხელმწიფე კნორინგს საქართველოში მომავალი მმართველობის დებულების შედგენას ავალებდა და წერდა: „თქვენ ამასთან ერთად გაითვალისწინებთ, რომ არა რუსეთის გამო უერთდება ეს ხალხი იმპერიას, არამედ საკუთრივ მისთვის, რომ ჩვენ სარგებელს კი არ ვეძებთ ამაში, არამედ მხოლოდ მის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას... და ამიტომ თქვენ მმართველობის შესახებ დებულებაში არ დაივიწყოთ, რომ პატივი უნდა მიაგოთ მის უფლებას, ჩამოყალიბდეს საკუთარ წესებთან, ადათებთან და გონების განწყობილებასთან ერთად; ერთი სიტყვით, თქვენ ამ ქვეყანას უნდა უყუროთ, როგორც არა ქვეყანას ჩვენთვის სასარგებლო შენაძენებით, არამედ როგორც ხალხს, რომელიც ეძიებს იმპერიასთან შეერთებას მისივე საკუთარი ბედნიერებისათვის.“ იმპერატორის ღირსშესანიშნავი სიტყვები დიდი ხანია დავიწყებულია; ქართველი ხალხის თვითმყოფადი ეროვნულ-კულტურული განვითარების უფლება, ავტონომიური მმართველობის საფუძველზე, დიდი ხანია დარღვეულია. ამჟამად საქართველო წარმოადგენს რუსულ გუბერნიებს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის არ სარგებლობს იმ მცირე სიკეთეებითაც კი, რომლებიც ნაბოძები აქვს რუსულ საზოგადოებას (ერობების თვითმმართველობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი), აღარაფერს ვამბობთ სხვა შეზღუდვებზე ენასთან, სკოლასთან, ეკლესიასთან და სხვასთან მიმართებით.

ჩვენ, თავისთავად ცხადია, არ ვვარაუდობთ, რომ ასეთი გარდაქმნა, ადგილობრივი მმართველობის საქმეებში ავტონომიური საწყისის შემოტანა, დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიის დამყარების აუცილებლობის დაცვით, შეიძლებოდა განხორციელებულიყო იმპერიაში ამჟამინდელი პირობების შენარჩუნებით, ანუ თავად რუსეთში საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური რეფორმის განხორციელებამდე. აუცილებელია, რომ სახელმწიფო ორგანიზმის ყველა ნაწილი, რომელიც ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს, ერთდროულად დაექვემდებაროს განახლებას. სხვა შემთხვევაში მხოლოდ ადგილობრივ რეფორმებს არ ძალუძს ჩვენთან ნორმალური სამართალწესრიგი დაამყაროს და აღადგინოს დარღვეული სიმშვიდე.

წარმომადგენლობითი მმართველობის ორგანიზების იდეა, ფართო საოლქო თვითმმართველობის დაშვებით, განსაკუთრებული სეიმებით, უცხო არც რუსეთისთვისაა. ეს იდეა გატარებული იყო 1818 წელს ნოვოსილცევის მიერ იმპერატორ ალექსანდრ I-ის დავალებით შედგენილ „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საწესდებო სიგელში“, რომლის საფუძვლებმაც იმპერატორის მოწონება დაიმსახურა.

ამ კონსტიტუციის საწყის მუხლებში გამოთქმული იყო აზრი, რომ საერთო კანონები დგინდება ხელმწიფის მიერ, საერთო-სახელმწიფოებრივი სეიმის თანამონაწილეობით, განსაკუთრებული ან ადგილობრივი სეიმების თანამონაწილეობით. ამ უკანასკნელთ უნდა განეხილათ ადგილობრივი კანონები, ადგილობრივი გადასახადები და ის საერთო პროექტები, რომელიც მათ ხელმწიფის განკარგულებისამებრ შეიძლებოდა გადაცემოდა. ამ კონსტიტუციას განხორციელება არ ეწერა, რადგანაც რეაქციული ძალების გავლენამ შეცვალა ჰუმანური მონარქის აზროვნების სახე.

ამ მოხსენებას ვამთავრებთ რეზოლუციური ნაწილის ჩამოყალიბებით და საქალაქო სათათბიროს ვთავაზობთ მიიღოს ქვემოთ მოტანილი ძირითადი დებულებები:

1) ჩვენი ხალხის თავისუფალი ეროვნულ-კულტური განვითარების მიზნით აუცილებელია მმართველობის დეცენრალიზაცია;

2) განაპირა მხარეებთან მიმართებაში დეცენტრალიზაცია ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭებით უნდა გამოიხატებოდეს, ე. ი. ავტონომიის შემოღებითა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ყველა ნაწილს შორის სახელმწიფოებრივი ერთობის შენარჩუნებით;

3) საქართველოს ავტონომია, სეიმით თბილისში, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმისმიცემით არჩეული ხალხის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, უნდა ეყრდნობოდეს ორგანულ სტატუსს, რომელიც ადგილობრივი დამფუძნებელი კრების მიერ იქნება შემუშავებული;

4) საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია საერთორუსულ პარლამენტში მტკიცდება;

5) საქართველო, რომელიც ამჟამად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებისა და ბათუმის ოლქისაგან შედგება, წარმოადგენს ერთ ავტონომიურ ერთეულს;

6) ყველა ხალხი, რომელიც ცხოვრობს საქართველოში და უმცირესობას შეადგენს, თანასწორი უფლებებით სარგებლობს;

7) ცენტრალურ საკანონმდებლო კრებაში კავკასიელი ხალხების მონაწილეობისათვის საარჩევნო სისტემის საკითხის გადაჭრისას სასურველია ტერიტორიული დაჯგუფების მიღება და

8) აუცილებელია საერთორუსული და ადგილობრივი (განაპირა მხარეების) დამფუძნებელი კრებების დაუყოვნებელი ერთდროული შეკრება, რომლებიც არჩეული იქნება საყოველთაო, სქესისა და ეროვნების განურჩევლად, პირდაპირი, ფარული და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე. საქართველოს დამფუძნებელი კრება ქალაქ თბილისში უნდა იქნას მოწვეული.

კომისია ვარაუდობს, რომ ეს მოხსენება მინისტრთა საბჭოს 31 უნდა გადაეცეს.

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3 გვ: 407-412)

სევდიანი იუმორი და მოწოდება: „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაშინაც კი, როცა წასაგებადაა განწირული“

სცენიდან რეალურ ყოფამდე თუ, შელამაზებული, დახვეწილი ურთიერთობების მიღმა არსებულ მეორე „განზომილებაში“ ჩარჩენილ ადამიანთა მარათონი უზნეობის, სიხარბის, უსუსურობის, მლიქვნელობის..., ერთიან ჩარჩოში. ჩარჩოში, რომელსაც გარე სივრცესთან ფანჯრების დაბზარული, თუ ჩატეხილი მინები, და სხვადასხვა ემოციის და მოქმედების გამომხატველი ხელები აკავშირებს. ეს ყველაფერი ინაცვლებს სპექტაკლში „იმერული რეკვიემი“, რომლის ჩვენება, გაიმართა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.სცენარის ავტორი რეზო კლდიაშვილი გახლავთ. დამდგმელი რეჟი-სორები: ვასო ჩიგოგიძე - ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და ოთარ კუტალაძე; მხატვარი - ლომგულ მურუსიძე; მუსიკალური გამფორმებელი - თაზო ინანაძე; ლოტბარი - მამია რუსიძე; ქორეოგრაფი - მარიკა ქვეითაია; ტექნიკური რეჟისორი - ეკატერინე ანთია; მოქმედი პირები და შემსრულებლები: შურა ექთანი - ბელა კიკვაძე; კაბირია - ანი გოდერძიშვილი; პისტი - ნინო ჯუღელი; ტატიანა - ვერიკო ხუხუნაიშვილი; კლავდია - შორენა გვეტაძე; ვალოდია - თემურ კვირკველია; როსტომი - ლევან საღინაძე; სამუელა - გიორგი ჩავლეშვილი; თეატრის დირექტორი ზაზა ჯინჭარაძე.

მოქმედება იმერეთში ხდება. სპექტაკლის შემოქმედებით კოლექტივს, რიგითობით შემოჰყავთ სცენაზე ქაოტური ცხოვრების თანამგზავრები. მოქმედ პირთა ჩაცმულობაც მათ ხასიათს გამოხატავს. თითქოს ერთმანეთთან კავშირში მყოფი, ერთმანეთისგან მაინც განყენებული პერსონაჟები არიან. რადგან, ერთს, არ შეუძლია გაალამაზოს მეორეს ცხოვრება. არც რაიმე მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს ერთმანეთისთვის. აქ უაზრობის ოროომ ტრიალია, პოლიტიკურ მესიჯებთან და პოლიტიკისთვის გაწეულ ულირს საქმეებთან ერთად.

შურა ექთანი თავიდანვე იკავებს ლიდერის პოზიციას.მისივე ორეულია ტყვე კაბირია, ოღონდ განსხვავებული სახით. –,,მეც მინდა რაღაცის რომ მწამდეს“. ეს მისი ამქვეყნიური სევდაა, დრო და დრო რომ მოეძალება წუთიერად. ასევე დრო და დრო მოეძალება მთვლემარე რაინდ როსტომს ემოციები თავისუფლების განცდისა თუ სამშობლოს დაცვისა. და იქვეა გამზადებული კითხვა - ,,ნეტავი რაში სჭირდება როსტომს თავისუფლება“.

დაზარალებული ტატიანას მონოლოგი, დავალებული როლის შესრულების შემდეგ: -,, ხუთ ლარს მოგცემ, საჩხერე ჭიათურის ავტობუსში აგინე ამ მთავრობასო . რომ ვაგინე, რაფერ მცემეს ბიშო!... მერე, გადაიღე, როგორ სცემეს ჩემი მხარდამჭერიო.... არასამთავრობებმა ვჯოჯოხეთად გვიქციეს ეს ცხოვრება.“

აქ კვლავ ერთვება მთვლემარე როსტომი თავისი ქარქაშში გაჭედილი, ფუნქცია დაკარგული ხმლით. ,,ბრძოლას ბატონებო, ყოველთვის აქვს აზრი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა წასაგებადაა განწირული, ... ფუჭი იმედი მომავლისა, აწმყო თუ არა გვწყალობს... იქნება რაიმეს გამოვკრათ ხელი, გაჭირვებამ დამღალა.“

აქ თითქოს მზა ფორმულით აიმედებენ ერთმანეთს პერსონაჟები ,,ასეთია ეს ცხოვრება. მდიდარიც უბედურია და ღარიბიც“.

მოქმედებას ბოლომდე გასდებს უჩინარი გიზოს აჩრდილი, რომელიც, ჩრდილოეთიდან იძლევა სასიგნალო ბრძანებებს, მის სახელს მისტირის შურა ექთანი.. მისგან ელოდება მითითებებს, მაგრამ ყოფითია ყოველივე ეს . ბოლოს, თითქოს ცდილობს კიდეც თავის დაღწევას. – ,, აქ მე ვიძლევი ბრძანებებს, მეყოფა სხვის ჭკუაზე სიარული.“ ბრძოლის იმიტაცია.... და ვინ არიან თავისუფლებისთვის მებრძოლნი. ისინი, რომლებმაც თავად არ იციან ვინ არიან,ან რა არის მათი ფუნქცია ამ ქვეყნად, ან იმ სხვებმა იციან განა, რომელთა ნაკვალევს სცენაზე მრავლად დაყრილი ფეხსაცმელები გამოხატავს.

-,, საკრებულოში რომ ვიყავი, სამშობლოს ვერ ვაცნობიერებდი. სკამიდან სხვაგვარად ჩანს სამშობლო. “-ეს როსტომის სიტყვებია. რომელსაც სკამის დაკარგვის შემდგომ, აბაზანა მოურგია და იქვე თვლემს მშვიდად და პერიოდულად წამოიყვირებს ხოლმე.

ბოლოს იღვიძებს თითქოს შურა ექთანში სამშობლო, ან სხვათა მსგავსად, თავად სამშობლოში, იღვიძებს ეს არასრულფასოვანი პერსონა. სამშობლოს სევდა ათქმევინებს გულისტკივილით: - ,,ამდენ სისულელეში ვინ შეგვარჩენს ამ ერბოსავით ქვეყანას,თვალსა და ხელს შუა გვადნება. ღმერთო, მოგვეცი ძალა გაჭირვებასთან გამკლავებისა. გამოიმეტე ჩვენთვის პატარა სიხარული.“ავტორი იუმორით გადმოსცემს ტრაგიზმს,რაც იქვე ხდება.

კითხვები დასმულია, და ვინ უნდა გასცეს პასუხი, თუ თავად არ გაითავისა რეალური ცხოვრების პერსონაჟებმა, რომ პასუხი თითოეულ მათგაწია. და ეს ყველა კითხვა, თუ კითხვის მიღმა არსებული პასუხი, შემოქმედებითმა კოლექტივმა და ოზურგეთის თეატრის მსახიობებმა, თავიანთი ოსტატობით, კარგად მიიტანეს მაყურებლამდე.

გუბაზ მეგრელიძე, თეატრმცოდნე –დღეს ოზურგეთის თეატრში პრემიერაა, ცნობილი დრამატურგის რეზო კლდიაშვილის ასევე ცნობილი პიესა დაიდგა ,,იმერული რეკვიემი“. რომელიც თბილისშიც დაიდგა საკმაო წარმატებით და აქაც ვიხილეთ სრულიად სხვა ვარიანტი ვასილ ჩიგოგიძის მიერ დადგმული. ეს არის საკმაოდ საინტერესო, მაგრამ საკმაოდ იუმორისტულ ჭრილშიდანახული ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ის გამოუვალი ვითარება, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი. ის საგიჟეთი,რომელიც არის პირობითი გარემო. ისინი თამაშობენ გიჟებს,რომლებსაც ერთი წამყვანი ჰყავს შურა ექთანი, რომელიც ხელმძღვანელობს მათ,ჩვენ ამ ვითარებაში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამაზეა დაწერილი ეს პიესა,სპექტაკლის ბოლოში რომ არის ნათქვამი ,,ამ ერბოსავით ქვეყანას არავინ შეგვარჩენს თუ არ ვიბრძოლეთო.“ სწორედ ეს ბრძოლაა, სამშობლოსაკენ სწრაფვა და მოწოდება, როსტომი, რომელიც საქარ-თველოს წარსულს მისტირის,აქვს ბრძოლის ჟინი, მაგრამ ქარქაშიდან ხმალს ვერ იღებს, აი სწორედ ეს არის ის უბედურება და პოლიტიკური სიტუაცია, რასაც ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში. ხასიათები არის საკმაოდ საინტერესო, იუმორით, მძაფრი კომიზმით გაჟღენთილი, და თითოეული მათგანი ქმნის თავისებურ კოლორიტულ სახეს. ძნელია საუბარი მათ

თითოეულ ინდივიდუალობაზე,ასე უცებ,რა თქმა უნდა, მაგრამ ყველას აქვს თავისი იერ-სახე, თავისი შეხედულება, თავისი ინდივიდუალური ფორმა, აი.. ყველას არ დავასახელებ, მაგრამ სხვა გმირებსაც გვაგონებს. ერთი გმირი ფუფალას, სხვა გმირი კიდევ სხვა ცნობილ გმირებს, არის რაღაც პასაჟები ფილმებიდან და ეს ყოველივე ქმნის იმ ატმოსფეროს,რასაც მოაქვს მხიარულება, უნდა ვთქვა სევდიანი მხიარულება, ვინაიდან საკმაოდ დამფიქრებლადაა ის აზრი ნათქვამი, რომელიც ასე კომიკური ფორმით არის დადგმული ოზურგეთის თეატრში.

– მდღეს ვასილ ჩიგოგიძის იუბილარია..მიულოცავთ მას?

– ვასო ჩიგოგიძე არის თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი საინტერესო რეჟისორი, ძალიან ნიჭიერი და ძალიან დიდი ორგანიზატორი ხელმძღვანელი. ოზურგეთის თეატრში დიდი ნაბიჯია გადადგმული როგორც რემონტის მხრივ, ისე შემოქმედებითად, 23-კაციანი დასით სამ სცენაზე დადგა სპექტაკლები, საკმაოდ რთულია, საკმაოდ წარმოუდგენელი ამბავია ეს, რომ მსახიობების ეს რაოდენობა გაანაწილო სამ სცენაზე,არის თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ ერთის მხრივ კარგია ის, რომ მსახიობები არიან სრულ ჩვეულ ფორმაში, როლები აქვთ, სამუშაო აქვთ,შემოქმედებითად წინ მიდიან, ვასიკოს ხელმძღვანელობით. ჩვენი ვასიკო ისეთი ენერგიით მუშაობს, ისეთი აღმფრენით მუშაობს, პატარა ბიჭის იერი აქვს ამ თავისი საქმიანობით და მე მინდა ვუსურვო მას დიდხანს სიცოცხლე, ბევრი შემოქმედებითი წარმატება, ოზურგეთის თეატრის წინსვლა და ძალიან გაგვიხარდება თუ ოზურგეთის თეატრი გასტროლებზე ჩამოვა თბილისში და ბოლო თავის სპექტაკლებს აჩვენებს თბილისელ მაყურებლებს, რომლებიც საკმაოდ მაღალმხა-ტვრულად არის დადგმული და ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს თეატრებს შორის.

რეზო კლდიაშვილი –სცენარის ავტორი:– ძალიან საინტერესო სპექტაკლია. ეს მესამე თეატრია,რომელიც ამ სპექტაკლს დგამს და უნდა გითხრათ რომ განებივრებული დრამატურგი ვარ, რადგან საუკეთესო მსახიობები, საუკეთესო აწლანგებით მიდის უკვე 8 წელიწადია ახმეტელის თეატრში. ახლა ხარაგაულის სახალხო თეატრმა დადგა, თბილისში ჰქონდათ გასტროლები და ვიცი, როგორ მიიღო მაყურებელმა.

მე მადლობელი ვარ ბატონი ვასო ჩიგოგიძისრომ მე ვნახე ძალიან საინტერესო სახეები. ყველა როლზე არის ისე სწორად შერჩეული, ფელინი რომ ყოფილიყო, გადაღებისთვის ამათზე შეაჩერებდა ყურადღებას.სხვაზე არც იფიქრებდა. თითოეული შემოსვლის შემდეგ ვიყავი აღფრთოვანებული. სპექტაკლის შემდეგ მე მათ ჩემი სურვილები ვუთხარი და ამ სურვილებს ისინი გაითვალისწინებენ და ეს სპექტაკლი იქნება ერთ-ერთი საუკეთესო, იმიტომ რომ სათქმელი რაც მე მინდოდა, მათ მაყურებლამდე მოიტანეს.

ნინო ნიკოლაიშვილი.

გაზეთი ,,ალიონი“ ულოცავს ბატონ **ვასილ ჩიგოგიძეს** დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს თავის დიდ კოლექტივთან ერთად.

ულოცავთ

ლევან ნინიძე 70 წლისაა



ვულოცავთ ცნობილ მომღერალს, ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრს, ცნობილ მეფუტკრეს და ოზურგეთის კოლორიტს ლევან ნინიძეს დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

ღირსეული ქალბატონი

ჩემი შორეული ბავშვობის ულამაზესი მოგონებები მასთან განუწყვეტელ კავშირშია. სულ თეთრი ხალათით შემოსილს ვხედავ. იგი ხომ წლების მანძილზე ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა, პედიატრთა საიმედო თანაშემწედ მოიხსენიებდნენ.

თავმდაბალი, ყოველთვის მომღიმარი, ტკბილმოუბარი, კოხტა, ფაქიზი, ფუსფუსა, დღენიადაგ ხვეწდა პროფესიულ ოსტატობას, გარშემომყოფთათვის კეთილ საქმეებს ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა.

ის იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ერთნაირად გვემაყება ძმისშვილებსა და დისშვილებს, რადგან ჩვენი მშობლების საწუთროდან გასვლის შემდეგ მან უზარმაზარი პასუხისმგებლობა აიღო, მათი ადგილი დაიჭირა და ჩვენზე მზრუნველობა განგრძო. დღესაც მშობლიურ ფუძეს უდგას დარაჯად.

ამ ტკბილ და უანგარო ურთიერთობებზე დაფუძნებული ცხოვრება კვლავ გრძელდება. ამან მისი უნწიკვლო ცხოვრების ცხრა ათეული წელი მიითვალა.

სხვებთან ერთად სულითა და გულით ვულოცავ ჩემს საუკეთესო დეიდას ლენა (ლენიკო) დარჩიას 90 წლის იუბილეს და ვუსურვებ ღმერთმა კიდევ დიდხანს გვიმყოფოს მისი თავი, ჯანმრთელი, მხნე და ენერგიული.

მადლობა სიკეთისა და დიდსულოვანი ადამიანობისათვის.

გვიყვარხარ, გვეიმედები.

დისშვილი **მანანა ტოტოჩავა ოჯახით**

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +8+15	მზე, ღრუბელი +10+18	მზე, ღრუბელი +9 +16	წვიმა +8+13	წვიმა +8+14	წვიმა +9+17	მზე, +11+22
2 მაისი	3 მაისი	4 მაისი	5 მაისი	6 მაისი	7 მაისი	8 მაისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა